

სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2020 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

---

|                                                               |      |
|---------------------------------------------------------------|------|
| 1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე     | -2-  |
| 2. ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: |      |
| 2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                        | -7-  |
| 2.2 სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება           | -8-  |
| 2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება                    | -9-  |
| 2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება                         | -10- |
| 3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები             | -11- |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### სს ქვეშის დამფუძნებლებს

### დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

#### პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ქვეში ჯგუფი“) კომპლექსური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კომპლექსური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის კომპლექსური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კომპლექსური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კომპლექსური ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული კომპლექსური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ქვეში ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

#### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2021 წლის 19 მარტს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგისა და ნაღდი ფულის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლებისა და ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგებაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგებისა და მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ქვეში ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## **მნიშვნელოვან გარემოებათა აზიზი**

ჯგუფი შექმნილია 2019 წლის სექტემბერში. მიუხედავად ამისა, ანგარიშგებაში მოცემული შესადარისი ინფორმაცია (2019 წელი) წარმოდგენილია 2019 წლის სრულ პერიოდზე შვილობილი კომპანიის (შპს ბუმ გრუპი) მონაცემებზე დაყრდნობით (აღნიშნულის თაობაზე მითითებულია განმარტებითი შენიშვნების მე-2 ნაწილში).

ჩვენი მოსაზრება არაა მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

## **სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება კომპლექსურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

## **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ქვეში ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს სს ქვეშის ან/და მისი შვილობილი კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ქვეში ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ქვეში ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ქვეში ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე

მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ქვეში ჯგუფის უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

### **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

### **მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

### **სხვა გარემოებათა აზიზი**

ქვეში ჯგუფის წინა პერიოდის ანგარიშგება აუდიტირებული არ არის

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ზვიადი კობახიძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-571699)

შპს თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-240968)

პატივისცემით,

ზვიადი კობახიძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი

შპს თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი

სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის

კომპლექსური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

|                                             | 31-Dec-20         | 31-Dec-19         |
|---------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                             |                   |                   |
| ფული და ფულის ექვივალენტები                 | 339,887           | 158,860           |
| მოთხოვნები მიწოდებიდან                      | 11,432,843        | 7,132,324         |
| მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები | 5,795,061         | 4,685,920         |
| სხვა მიმდინარე აქტივები                     | 477               | 3,476             |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>               | <b>17,568,268</b> | <b>11,980,581</b> |
| ძირითადი საშუალებები                        | 16,211,443        | 16,095,748        |
| არამატერიალური აქტივები                     | 35,681            | 36,539            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>            | <b>16,247,124</b> | <b>16,132,287</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                         | <b>33,815,392</b> | <b>28,112,868</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                        |                   |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები                       | 4,748,890         | 2,783,752         |
| გადასახდელი საგადასახადო ვალდებულებები      | 131,068           | 16,830            |
| მოკლევადიანი სესხი                          | 799,463           | 1,438,328         |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>              | <b>5,679,420</b>  | <b>4,238,910</b>  |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები          | 18,108,735        | 17,180,153        |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>           | <b>18,108,735</b> | <b>17,180,153</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                    | <b>23,788,155</b> | <b>21,419,063</b> |
| <b>კაპიტალი</b>                             |                   |                   |
| სააქციო კაპიტალი                            |                   |                   |
| გაუნაწილებელი მოგება                        | 10,027,237        | 6,693,805         |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                     | <b>10,027,237</b> | <b>6,693,805</b>  |
| <b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b>    | <b>33,815,392</b> | <b>28,112,868</b> |

სს ქვეშის დირექტორი

სს ქვეშის მთავარი ბუღალტერი

\_\_\_\_\_ **ბესარიონ ურუმაშვილი**

\_\_\_\_\_ **ტატანა თოდუა**

სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლისა კომპლექსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

|                                                 | 2020 წელი         | 2019 წელი         |
|-------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან      | 33,863,412        | 30,005,920        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება           | -21,920,192       | -18,864,600       |
| <b>Gross profit</b>                             | <b>11,943,219</b> | <b>11,141,320</b> |
| ხელფასის ხარჯი                                  | -1,240,494        | -1,050,312        |
| მიწოდების ხარჯი                                 | -887,070          | -869,585          |
| წარმოების არაპირდაპირი ხარჯები                  | -1,413,771        | -738,756          |
| საკონსულტაციო ხარჯი                             | -32,800           | -30,890           |
| მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები          | -7,495            | -41,643           |
| საგადასახადო ხარჯი                              | -205,340          | -231,663          |
| სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი               | -354,352          | -300,956          |
| <b>EBITDA</b>                                   | <b>7,801,897</b>  | <b>7,877,514</b>  |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი                   | -929,802          | -754,143          |
| საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი                     | -1,424,441        | -1,601,055        |
| წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან | -2,386,996        | -1,280,593        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები                  | 272,774           | 37,883            |
| <b>Net profit</b>                               | <b>3,333,432</b>  | <b>4,279,606</b>  |
| მოგების გადასახადი                              | 0                 | 0                 |
| <b>Net profit</b>                               | <b>3,333,432</b>  | <b>4,279,606</b>  |

სს ქვეშის დირექტორი

სს ქვეშის მთავარი ბუღალტერი

\_\_\_\_\_ ბესარიონ ურუშაშვილი

\_\_\_\_\_ ტატიანა თოდუა

სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის  
ფულადი სახსრების მოძრაობის კომპლექსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                                          | 2020 წელი         | 2019 წელი         |
|----------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>5,415,007</b>  | <b>1,201,781</b>  |
| წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან                     | 34,423,224        | 28,833,773        |
| გადახდილი მომწოდებლებზე                                  | -23,101,132       | -22,049,562       |
| გადახდილი ხელფასები                                      | -1,564,897        | -1,405,055        |
| გადახდილი გადასახადები                                   | -4,342,188        | -4,132,374        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>-1,027,211</b> | <b>0</b>          |
| სესხის გაცემა                                            |                   |                   |
| გაცემული სესხის მიღება                                   |                   |                   |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                             | -1,027,211        |                   |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაცია                         |                   |                   |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>    | <b>-4,187,341</b> | <b>-1,001,571</b> |
| მიღებული სესხი                                           | 2,900,807         | 2,269,070         |
| გადახდილი სესხი და %                                     | -7,088,148        | -3,270,641        |
| <b>სავალუტო კურსის ეფექტი</b>                            |                   |                   |
| მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან                    | -19,428           | -58,077           |
| <b>წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b> | <b>181,027</b>    | <b>142,133</b>    |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>       | <b>158,860</b>    | <b>16,727</b>     |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>339,887</b>    | <b>158,860</b>    |

სს ქვეშის დირექტორი

სს ქვეშის მთავარი ბუღალტერი

\_\_\_\_\_ **ბესარიონ ურუმაშვილი**

\_\_\_\_\_ **ტატიანა თოდუა**

სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის  
კაპიტალში ცვლილებების კომპლექსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

|                              | მფლობელთა<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>მოგება/<br>ზარალი | სულ               |
|------------------------------|-----------------------|--------------------------------|-------------------|
| <b>31-Dec-18</b>             | <b>0</b>              | <b>2,414,199</b>               | <b>2,414,199</b>  |
| შენატანები კაპიტალში         |                       |                                | 0                 |
| პერიოდის შემოსავალი/გასავალი |                       | 4,279,606                      | 4,279,606         |
| გადახდილი დივიდენდი          |                       |                                | 0                 |
| <b>31-Dec-19</b>             | <b>0</b>              | <b>6,693,805</b>               | <b>6,693,805</b>  |
| შენატანები კაპიტალში         |                       |                                |                   |
| პერიოდის შემოსავალი/გასავალი |                       | 3,333,432                      | 3,333,432         |
| გადახდილი დივიდენდი          |                       |                                |                   |
| <b>31-Dec-20</b>             | <b>0</b>              | <b>10,027,237</b>              | <b>10,027,237</b> |

სს ქვეშის დირექტორი

სს ქვეშის მთავარი ბუღალტერი

\_\_\_\_\_ *ბესარიონ ურუმაშვილი*

\_\_\_\_\_ *ტატიანა თოდუა*

სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის კომპლექსური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

## 1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

სს ქვეში (ს/ნ 425365641) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. დაფუძნების თარიღია 2019 წლის 3 სექტემბერი.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ბოლნისის რაიონი, ს. ქვეში 1–ლი ქ. N 7.

კომპანია ამ ეტაპზე დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებს.

კომპანიას გააჩნია შვილობილი საწარმო შპს ბუმ გრუპი (ფლობს 100%-ს).

შპს ბუმ გრუპი არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, საექიმოს გასასვლელი, N1, სადარბაზო 1, სართული 11

შპს ბუმ გრუპის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს უალკოჰოლო გაზიანი სასმელების წარმოება და რეალიზაცია

„კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

## 2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კომპლექსური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

**შენიშვნა:** მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი შეიქმნა 2019 წლის სექტემბერში, ზემოაღნიშნული ანგარიშგების აღქმადობის გაუმჯობესების მიზნით, შესადარის ინფორმაციად (2019 წელი) აღებულია 2019 წლის სრული პერიოდის მონაცემები (შვილობილი კომპანიის მონაცემებზე დაყრდნობით)

## 3. ფუნქციონირებადი საწარმო

აღნიშნული კომპლექსური ფინანსური ანგარიშგების შედეგის საფუძველს წარმოადგენს დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ჯგუფი მომგებიანია შექმნის მომენტიდან - 2020 წლის 31 დეკემბრისათვის გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 10 027 ათასი ლარი. შვილობილ კომპანიას - შპს ბუმ გრუპს გააჩნია თავისი სტაბილური ბაზარი და რეალიზაციების მოცულობას მზარდი დინამიკა აქვს.

COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდში საწარმოს მუშაობა არ შეუჩერებია.

შესაბამისად ვთვლით, რომ გვაქვს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ჯგუფი ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.

#### **4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**

##### **4.1 სამუშაო ვალუტა**

„ქვეში ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

##### **4.2 ძირითადი საშუალებები**

###### **4.2.1 აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევითანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

## ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

|                                  |              |
|----------------------------------|--------------|
| შენობა-ნაგებობები                | 20-30 წლამდე |
| მანქანები და მოწყობილობები       | 20 წლამდე    |
| საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი | 5 წლამდე     |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები     | 15 წლამდე    |

### 4.2.2 აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ – მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

### 4.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

### 4.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

#### 4.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

##### 4.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

##### 4.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში

ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „ჯგუფის“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„ჯგუფის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

#### აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

#### 4.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

#### სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

#### სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „ჯგუფი“ გაიღებს სესხის მისაღებად.

## **4.6 გადასახადები**

### **4.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი**

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „ჯგუფს“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

### **4.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი**

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

## **4.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

## **4.8 შემოსავლები**

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

### **საქონლის გაყიდვა**

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

### **მომსახურების გაწევა**

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

## **4.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.**

„ჯგუფი“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
  - ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
  - ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
  - ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

## **5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი**

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს,

რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

## 6. ძირითადი საშუალებები

|                   | მიწა             | შენობები         | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი | ტრანსპორტი       | სხვა          | სულ               |
|-------------------|------------------|------------------|---------------------|-----------------------------|------------------|---------------|-------------------|
| 31 დეკემბერი 2018 | <b>1,008,942</b> | <b>4,012,323</b> | <b>8,189,584</b>    | <b>242,355</b>              | <b>629,014</b>   | <b>9,367</b>  | <b>14,091,584</b> |
| შესყიდვები        |                  | 848,143          | 1,193,738           | 17,583                      | 796,745          | 11,196        | 2,867,404         |
| რეალიზაცია        |                  |                  | 115,405             |                             |                  |               | 115,405           |
| 2019 წლის ცვეთა   |                  | 149,436          | 461,210             | 46,517                      | 90,672           |               | 747,835           |
| 31 დეკემბერი 2019 | <b>1,008,942</b> | <b>4,711,030</b> | <b>8,806,707</b>    | <b>213,420</b>              | <b>1,335,087</b> | <b>20,563</b> | <b>16,095,748</b> |
| შესყიდვები        |                  | 285,935          | 298,118             | 16,400                      | 464,749          |               | 1,065,202         |
| რეალიზაცია        |                  |                  |                     |                             |                  |               | 0                 |
| ჩამოწერა          |                  |                  |                     |                             |                  | 20,563        | 20,563            |
| 2020 წლის ცვეთა   |                  | 169,824          | 590,401             | 49,598                      | 119,120          |               | 928,944           |
| 31 დეკემბერი 2020 | <b>1,008,942</b> | <b>4,827,140</b> | <b>8,514,423</b>    | <b>180,222</b>              | <b>1,680,716</b> | <b>0</b>      | <b>16,211,443</b> |

## 7. არამატერიალური აქტივები

|                                               |               |
|-----------------------------------------------|---------------|
| 31 დეკემბერი 2018 წმინდა საბალანსო ღირებულება | <b>37 398</b> |
| შესყიდვები                                    | 0             |
| რეალიზებული აქტივი                            |               |
| 2019 წლის ცვეთა                               | 859           |
| 31 დეკემბერი 2019 წმინდა საბალანსო ღირებულება | <b>36 539</b> |
| შესყიდვები                                    |               |
| რეალიზებული აქტივი                            |               |
| 2020 წლის ცვეთა                               | 858           |
| 31 დეკემბერი 2020 წმინდა საბალანსო ღირებულება | <b>35,681</b> |

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო, სასაწყობო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან სასაქონლო ნიშნის ღირებულებისგან.

## 8. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                   | 2020 წელი      | 2019 წელი      |
|-----------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული საღაროში               | 60,965         | 75,855         |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში       | 60,965         | 75,855         |
| ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში        | 0              | 0              |
| <b>ფული საბანკო ანგარიშებზე</b>   | <b>278,922</b> | <b>83,005</b>  |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში   | 236,838        | 71,362         |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში    | 42,084         | 11,643         |
| უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში | 0              | 0              |
| <b>სულ</b>                        | <b>339,887</b> | <b>158,860</b> |

## 9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

|                                   | 2020 წელი        | 2019 წელი        |
|-----------------------------------|------------------|------------------|
| ტარა                              | 3,750            | 20,343           |
| ნედლეული და მასალები              | 3,261,294        | 2,673,000        |
| მზა პროდუქცია                     | 2,392,156        | 1,902,564        |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 137,861          | 90,013           |
| <b>სულ</b>                        | <b>5,795,061</b> | <b>4,685,920</b> |

## 10. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით (არასავაჭრო განყოფილებების თანამშრომლებისათვის) და შერეული, ფიქსირებულს + საპროცენტო ნაწილი განაკვეთით. ფიქსირებული განაკვეთი დამოკიდებულია შრომით ბაზარზე არსებული კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურებასა და კომპანიაში სამუშაო სტაჟზე.

სს ქვეშის დირექტორი:

ბესარიონ ურუმაშვილი -----

სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის  
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

## სარჩევი

|    |                                        |    |
|----|----------------------------------------|----|
| 1. | კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა.....   | 22 |
| 2. | კომპანიის მმართველობითი ორგანოები..... | 27 |
| 3. | კომპანიის სამომავლო გეგმები.....       | 28 |

## 1. *ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა*

სს ქვეში არის შპს ბუმ გრუპის 100 % წილის მფლობელი. მას ცალკე დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის სფერო არ გააჩნია.

სს ქვეშის დირექტორი

სს ქვეშის მთავარი ბუღალტერი

ბ. ჯეჯეულია ბესარიონ ურუმაშვილი

გ. მ. ტატიანა თოდუა

**სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის**

ფულადი სახსრების მოძრაობის კომპლექსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                                          | 2020 წელი         | 2019 წელი         |
|----------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>5,415,007</b>  | <b>1,201,781</b>  |
| წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან                     | 34,423,224        | 28,833,773        |
| გადახდილი მომწოდებლებზე                                  | -23,101,132       | -22,049,562       |
| გადახდილი ხელფასები                                      | -1,564,897        | -1,405,055        |
| გადახდილი გადასახადები                                   | -4,342,188        | -4,132,374        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>-1,027,211</b> | <b>0</b>          |
| სესხის გაცემა                                            |                   |                   |
| გაცემული სესხის მიღება                                   |                   |                   |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                             | -1,027,211        |                   |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაცია                         |                   |                   |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>    | <b>-4,187,341</b> | <b>-1,001,571</b> |
| მიღებული სესხი                                           | 2,900,807         | 2,269,070         |
| გადახდილი სესხი და %                                     | -7,088,148        | -3,270,641        |
| <b>სავალუტო კურსის ეფექტი</b>                            |                   |                   |
| მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან                    | -19,428           | -58,077           |
| <b>წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b> | <b>181,027</b>    | <b>142,133</b>    |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>       | <b>158,860</b>    | <b>16,727</b>     |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>339,887</b>    | <b>158,860</b>    |

სს ქვეშის დირექტორი

სს ქვეშის მთავარი ბუღალტერი

მ. ურუშაძე

ბესარიონ ურუმაშვილი

გ. მ.

კატინა თოდუა

**სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის**

კაპიტალში ცვლილებების კომპლექსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

|                              | მფლობელთა<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>მოგება/<br>ზარალი | სულ               |
|------------------------------|-----------------------|--------------------------------|-------------------|
| <b>31-Dec-18</b>             | <b>0</b>              | <b>2,414,199</b>               | <b>2,414,199</b>  |
| შენატანები კაპიტალში         |                       |                                | 0                 |
| პერიოდის შემოსავალი/გასავალი |                       | 4,279,606                      | 4,279,606         |
| გადახდილი დივიდენდი          |                       |                                | 0                 |
| <b>31-Dec-19</b>             | <b>0</b>              | <b>6,693,805</b>               | <b>6,693,805</b>  |
| შენატანები კაპიტალში         |                       |                                |                   |
| პერიოდის შემოსავალი/გასავალი |                       | 3,333,432                      | 3,333,432         |
| გადახდილი დივიდენდი          |                       |                                |                   |
| <b>31-Dec-20</b>             | <b>0</b>              | <b>10,027,237</b>              | <b>10,027,237</b> |

სს ქვეშის დირექტორი

სს ქვეშის მთავარი ბუღალტერი

ლ. არაშვილი

ბესარიონ ურუმაშვილი



ტატიანა თოდუა

**სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის** კომპლექსური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*(თანხები მოცემულია ლარში)*

## **1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ**

სს ქვეში (ს/ნ 425365641) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. დაფუძნების თარიღია 2019 წლის 3 სექტემბერი.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ბოლნისის რაიონი, ს. ქვეში 1-ლი ქ. N 7.

კომპანია ამ ეტაპზე დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებს.

კომპანიას გააჩნია შვილობილი საწარმო შპს ბუმ გრუპი (ფლობს 100%-ს).

შპს ბუმ გრუპი არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, საექიმოს გასასვლელი, N1, სადარბაზო 1, სართული 11

შპს ბუმ გრუპის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს უალკოჰოლო გაზიანი სასმელების წარმოება და რეალიზაცია

„კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

## **2. მომზადების საფუძვლები**

წინამდებარე კომპლექსური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

**შენიშვნა:** მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი შეიქმნა 2019 წლის სექტემბერში, ზემოაღნიშნული ანგარიშგების აღქმადობის გაუმჯობესების მიზნით, შესადარის ინფორმაციად (2019 წელი) აღებულია 2019 წლის სრული პერიოდის მონაცემები (შვილობილი კომპანიის მონაცემებზე დაყრდნობით)

## **3. ფუნქციონირებადი საწარმო**

აღნიშნული კომპლექსური ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველს წარმოადგენს დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ჯგუფი მომგებიანია შექმნის მომენტიდან - 2020 წლის 31 დეკემბრისათვის გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 10 027 ათასი ლარი. შვილობილ კომპანიას - შპს ბუმ გრუპს გააჩნია თავისი სტაბილური ბაზარი და რეალიზაციების მოცულობას მზარდი დინამიკა აქვს.

COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდში საწარმოს მუშაობა არ შეუჩერებია.

შესაბამისად ვთვლით, რომ გვაქვს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ჯგუფი ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.

#### **4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**

##### **4.1 სამუშაო ვალუტა**

„ქვეში ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

##### **4.2 ძირითადი საშუალებები**

###### **4.2.1 აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

## **ცვეთა**

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

|                                  |              |
|----------------------------------|--------------|
| შენობა-ნაგებობები                | 20-30 წლამდე |
| მანქანები და მოწყობილობები       | 20 წლამდე    |
| საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი | 5 წლამდე     |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები     | 15 წლამდე    |

### **4.2.2 აღიარების შეწყვეტა**

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

### **4.3 არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

### **4.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

#### **4.5 ფინანსური ინსტრუმენტები**

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

##### **4.5.1 ფინანსური აქტივები**

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

##### **4.5.2 ფინანსური ვალდებულებები**

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში

ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „ჯგუფის“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„ჯგუფის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

#### აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

### 4.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

#### სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

#### სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „ჯგუფი“ გაიღებს სესხის მისაღებად.

#### **4.6 გადასახადები**

##### **4.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი**

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „ჯგუფს“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

##### **4.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი**

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

#### **4.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

#### **4.8 შემოსავლები**

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

#### **საქონლის გაყიდვა**

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

#### **მომსახურების გაწევა**

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

### **4.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.**

„ჯგუფი“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
  - ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
  - ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
  - ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

### **5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი**

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს,

რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

## 6. ძირითადი საშუალებები

|                   | მიწა      | შენობები  | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი | ტრანსპორტი | სხვა   | სულ        |
|-------------------|-----------|-----------|---------------------|-----------------------------|------------|--------|------------|
| 31 დეკემბერი 2018 | 1,008,942 | 4,012,323 | 8,189,584           | 242,355                     | 629,014    | 9,367  | 14,091,584 |
| შესყიდვები        |           | 848,143   | 1,193,738           | 17,583                      | 796,745    | 11,196 | 2,867,404  |
| რეალიზაცია        |           |           | 115,405             |                             |            |        | 115,405    |
| 2019 წლის ცვეთა   |           | 149,436   | 461,210             | 46,517                      | 90,672     |        | 747,835    |
| 31 დეკემბერი 2019 | 1,008,942 | 4,711,030 | 8,806,707           | 213,420                     | 1,335,087  | 20,563 | 16,095,748 |
| შესყიდვები        |           | 285,935   | 298,118             | 16,400                      | 464,749    |        | 1,065,202  |
| რეალიზაცია        |           |           |                     |                             |            |        | 0          |
| ჩამოწერა          |           |           |                     |                             |            | 20,563 | 20,563     |
| 2020 წლის ცვეთა   |           | 169,824   | 590,401             | 49,598                      | 119,120    |        | 928,944    |
| 31 დეკემბერი 2020 | 1,008,942 | 4,827,140 | 8,514,423           | 180,222                     | 1,680,716  | 0      | 16,211,443 |

## 7. არამატერიალური აქტივები

|                                               |        |
|-----------------------------------------------|--------|
| 31 დეკემბერი 2018 წმინდა საბალანსო ღირებულება | 37 398 |
| შესყიდვები                                    | 0      |
| რეალიზებული აქტივი                            |        |
| 2019 წლის ცვეთა                               | 859    |
| 31 დეკემბერი 2019 წმინდა საბალანსო ღირებულება | 36 539 |
| შესყიდვები                                    |        |
| რეალიზებული აქტივი                            |        |
| 2020 წლის ცვეთა                               | 858    |
| 31 დეკემბერი 2020 წმინდა საბალანსო ღირებულება | 35,681 |

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო, სასაწყობო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან სასაქონლო ნიშნის ღირებულებისგან.

## 8. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                   | 2020 წელი      | 2019 წელი      |
|-----------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული საღაროში               | 60,965         | 75,855         |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში       | 60,965         | 75,855         |
| ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში        | 0              | 0              |
| <b>ფული საბანკო ანგარიშებზე</b>   | <b>278,922</b> | <b>83,005</b>  |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში   | 236,838        | 71,362         |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში    | 42,084         | 11,643         |
| უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში | 0              | 0              |
| <b>სულ</b>                        | <b>339,887</b> | <b>158,860</b> |

## 9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

|                                   | 2020 წელი        | 2019 წელი        |
|-----------------------------------|------------------|------------------|
| ტარა                              | 3,750            | 20,343           |
| ნედლეული და მასალები              | 3,261,294        | 2,673,000        |
| მზა პროდუქცია                     | 2,392,156        | 1,902,564        |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 137,861          | 90,013           |
| <b>სულ</b>                        | <b>5,795,061</b> | <b>4,685,920</b> |

## 10. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით (არასავაჭრო განყოფილებების თანამშრომლებისათვის) და შერეული, ფიქსირებულს + საპროცენტო ნაწილი განაკვეთით. ფიქსირებული განაკვეთი დამოკიდებულია შრომით ბაზარზე არსებული კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურებასა და კომპანიაში სამუშაო სტაჟზე.

სს ქვეშის დირექტორი:  
ბესარიონ ურუმაშვილი

ს. ურუმაშვილი

სს ქვეშისა და მისი შვილობილი კომპანიის  
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

## სარჩევი

|    |                                        |    |
|----|----------------------------------------|----|
| 1. | კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა.....   | 22 |
| 2. | კომპანიის მმართველობითი ორგანოები..... | 27 |
| 3. | კომპანიის სამომავლო გეგმები.....       | 28 |

## 1. ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა

სს ქვეში არის შპს ბუმ გრუპის 100 % წილის მფლობელი. მას ცალკე დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის სფერო არ გააჩნია.

შპს ბუმ გრუპი (შემდგომში „კომპანია“) ერთ-ერთი უმსხვილესი ენერგეტიკული სასმელების მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა საქართველოში. გარდა ენერგეტიკული სასმელებისა კომპანია აწარმოებს სხვადასხვა სახის ლიმონათს, გამაგრიებელ სასმელებს, სუფრის წყალს.

კომპანია განთავსებულია თბილისში, ორხევის საწარმოო ზონაში მისამართზე: თბილისი, ორხევი, თ. ჩანტლაძის 1 შესახვევი, #14.

აქ 28500 კვ.მ. მიწის ფართობზე განლაგებულია საწარმოო შენობა 4500 კვ.მ., ოფისი 360 კვ.მ., სასაწყობე შენობა 4100 კვ.მ., ავტოსადგომი მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანებისთვის, სატრანსფორმატორო შენობა, დაცვის შენობა, ავტობოქსი საკუთარი მანქანებისთვის, იჯარით გასაცემი შენობა საწყობისთვის, წყლის რეზერვუარები.

შპს ბუმ გრუპის (ს/ნ 406183400) სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღია 2016 წლის 5 აგვისტო. შპს ბუმ გრუპის 100% წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება ქვეში (ს/ნ 425365641)

კომპანიის ხელმძღვანელმა დაარსების პირველივე დღიდან განსაზღვრა მთავარი კურსი - მაღალი ხარისხი, ეფექტური მენეჯმენტი და კვალიფიციური კადრები. მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა შესაძლებელია კვალიფიციური პარტნიორების მეშვეობით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია შევქმნათ მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნესი. ჩვენი ფართო ასორტიმენტი საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ დაბალ ბიუჯეტთან მომხმარებელი და ასევე ვმუშაობთ ახალი პროდუქტების შექმნაზე სხვა სეგმენტების ასათვისებლად. კომპანიამ ქარხანა ძალზედ მოკლე დროში ააშენა და მუდმივად მიმდინარეობს მისი მოდერნიზაცია. ჩვენი მიზანია, აქ შეიქმნას პროდუქტი, რომელსაც ყველგან ენდობიან და დავამყაროთ მჭიდრო საქმიანი კავშირები მომხმარებელთან

### კომპანიის ღირებულებები

კომპანიის ძირითადი მიზანია მივაწოდოთ მომხმარებელს პროდუქცია საუკეთესო ფასებით და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებით, სასიამოვნო გარემოში. აღნიშნულის მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- პასუხისმგებლობა - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორ მომხმარებლების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;

- კეთილსინდისიერება - კეთილსინდისიერად ვემსახუროთ თითოეულ მომხმარებელს და კომპანიას;

- პროფესიონალიზმი - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებლებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- გუნდური სულისკვეთება - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

### **ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის კონსოლიდირებულმა შემოსავალმა 2020 წელს შეადგინა 33,863,412 ლარი, 2019 წელს შეადგინა 30,005,920 ლარი. 2019 წელთან შედარებით ერთობლივი შემოსავალი გაიზარდა 12,86%. აქტივების ჯამური მოცულობა 2020 წლის ბოლოს შეადგენს 33,815,392 ლარს. წინა წელთან შედარებით აქტივების მოცულობა გაიზარდა 20% ით. კომპანიის წმინდა მოგებამ 2020 წელს შეადგინა 3,333,432 ლარი.

### **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

• შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპანია „ბუმ გრუპის“ ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კომპანიის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა

• თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. ტრენინგ ცენტრი მუშაობს ორი ძირითადი მიმართულებით:

- არსებული/გამოცდილი თანამშრომლებისთვის პერიოდული ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

- სტაჟირების პროგრამა,

კომპანიაში შემუშავებულია თანამშრომელთა კარიერული ზრდის სისტემა, რაც მათ აძლევს საშუალებას განვითარდნენ არა მხოლოდ პროფესიულად (ჰორიზონზე), არამედ პოზიციურად (სტრუქტურაში ვერტიკალზე). აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ასევე თანამშრომლების კომპანიისადმი ლოიალობას და ამცირებს გადინების მაჩვენებელს.

- თანამშრომელთა მოტივაციის სისტემები კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

სამოტივაციო სისტემა ასევე მოიცავს ფინანსურ მოტივატორებს, როგორებიცაა:

- შემუშავებული საბონუსე სისტემა;

- ხელფასის მატების სისტემა;

- გუნდური და ინდივიდუალური კონკურსები (შეჯიბრებები) და შესაბამისი ჯილდოები;

- საუკეთესო თანამშრომლების გამოვლენა და დაჯილდოვება;

- საუკეთესო შედეგების მიღწევის შემთხვევაში გუნდური გასვლითი ღონისძიებები.

### **მომწოდებლებთან ურთიერთობა**

ჩვენი ბიზნესის საწარმოებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მომწოდებლებთან ურთიერთობას. 2020 წელს კომპანიას ყავდა დაახლოებით 90 მომწოდებელი, ამასთან 10 უმსხვილესი მომწოდებლის წილმა შეადგინა ჩვენი ამონაგების 50%. იმისათვის რომ დავუახლოვდეთ მომხმარებლებს, ჩვენ უნდა დავუახლოვდეთ მომწოდებლებს.

### **ლოჯისტიკა**

ჩვენი კომპანია ლიდერია თავის სფეროში და არსებული ვითარების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის საჭიროა დინამიური და ეფექტური ლოჯისტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება. ოპტიმიზაციისა და მაქსიმალურად ეფექტური მომარაგების მიზნით მოხდა საკუთარი მაქანების შესყიდვა, - რომელსაც ემსახურება 11 ავტომანქანა. ასევე მიწოდების საიმედოობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ჩვენ ვცდილობთ ვიპოვოთ ოპტიმალური ბალანსი ჩვენს და გარეშე სატრანსპორტო რესურსებს შორის, რაც საბოლოო ჯამში მომხმარებლისათვის პროდუქციის ხელსაყრელ ფასად მიწოდებაში გვიწყობს ხელს.

სამომავლოდ, ვგეგმავთ საწყობის მართვის არსებულ ტექნოლოგიების დამატებას, რაც მოგვცემს საშუალებას ეფექტურად ვმართოთ საწყობში პროდუქციის მიღება, მოძრაობა და შეკვეთების/ტვირთების დაკომპლექტება. ასევე იგეგმება კიდევ ერთი ახალი სასაწყობო ფართის მშენებლობა.

## **შიდა კომუნიკაციები**

შიდა კომუნიკაციების საბოლოო მიზანია კომპანიის შიგნით ურთიერთგაგება, ჩვენი მიზნებისა და სტრატეგიის ახსნა, ასევე გუნდური სულისკვეთებისა და კორპორატიული კულტურის განვითარება. 2020 წელს ჩვენი შიდა კომუნიკაციების სტრატეგია მიმართული იყო თანამშრომელთათვის კომპანიის ოპერაციული მოდელის განახლებასთან დაკავშირებული მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

## **გარემოს დაცვა**

გარემოს დაცვა კომპანიის წარმატებული, ხანგრძლივადიანი განვითარების ერთერთი წინაპირობაა. ბიზნესის გაზრდის კვალობაზე იზრდება ჩვენი ზემოქმედება გარემოზე. საწარმოო შეფუთვების ნარჩენები, პოლიეთილენის პარკები, ელექტროენერგიის მოხმარება, ეს არის გარემოზე ზემოქმედების ჩამონათვალი. თავის საქმიანობაში კომპანია ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოს დაცვის კანონისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული ნორმატივების შესაბამისად. ჩვენ კარგად გვესმის, რომ გარემოს დაცვა არა მხოლოდ ჩვენი სოციალური მოვალეობაა არამედ ხელს უწყობს ბიზნესის ეფექტურობის გაზრდასა და დანახარჯების შემცირებას, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში შემოსავლის მიღებას (გადასამუშავებლად ვარგისი ნარჩენების მიყიდვა პროფილური კომპანიებისათვის).

## **ბაზარი**

კომპანიის პოზიცია ბაზარზე უალკოჰოლო ენერგეტიკული სასმელების წარმოება ძალიან სპეციფიკური სფეროა. საქმიანობა რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. მიმდინარეობს ჩამოსხმული პროდუქციის მარკირება ელექტრონული მეთოდით, რისი საშუალებითაც სახელმწიფოს ონლაინ რეჟიმში აქვს ინფორმაცია ნაწარმოები პროდუქტის სახეობისა და რაოდენობის შესახებ. ბაზარი კონკურენტულად განვითარებულია. ბაზარზე არსებობს რამდენიმე მსხვილი კომპანია, რომელთათვის ენერგეტიკული სასმელი წარმოება დამხმარე

პროდუქტია და ასევე არსებობს რამდენიმე კომპანია, რომლებიც მსგავსი პროდუქტების იმპორტს ახორციელებენ. კომპანია ბაზარზე წარდგენის წილის შენარჩუნებას ფასის დაბალ მაჩვენებელზე დატოვების საშუალებით ახერხებს.

### **რისკების მართვა**

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ძირითადი რისკებია: საბაზრო ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკები, სავაჭრო რისკები და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები. რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების და პროცედურების მიხედვით. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით. კომპანიის რისკების მართვის პროცესები მოწმდება. შიდა აუდიტი განიხილავს ხელმძღვანელობასთან ყველა შედეგებსა და ანგარიშებს და გასცემს რეკომენდაციებს

## **2. კომპანიის მმართველობა**

*კომპანიის მმართველობითი ორგანოა:*

### **დირექტორი**

*კომპანიის მართვა ხორციელდება საზოგადოების შინაგანაწესით.*

### **დირექტორის კომპეტენციაშია:**

- წარმოადგინოს კომპანია მესამე პირთან;
- კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა, რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია, სტრატეგიული გეგმების განხილვა.
- მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი და ა.შ.

### 3. კომპანიის სამომავლო გეგმები

კომპანია შემოსავლების გაზრდის მიზნით გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა გრძელვადიან ღონისძიებებს. მათ შორის აღსანიშნია ყოველ წელს რამოდენიმე ახალი პროდუქტის წარმოების დაწყება, აგრესიული პოლიტიკა ექსპორტის ზრდის მიმართულებით, ახალი ბრენდების შექმნა და განვითარება, სხვა კომპანიების ბრენდების მომსახურება და ა.შ.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივი ოფისის მეშვეობით, არ გააჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ გეგმავს ამ მოდელის შეცვლას. კომპანიაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია *სულ - 90 კაცი*.

კომპანიამ საკუთარ საწარმოო ბაზაზე საქმიანობა 2017 წელს დაიწყო. ბაზარზე არსებული კონკურენციის მიუხედავად, კომპანიის მიერ წარმოებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად დინამიურად იზრდებოდა ასორტიმენტი და რეალიზაცია.

2017 წელი - დაიწყო ენერგეტიკული სასმელების „BOOM FIRE“, „BOOM BEST“ და „Infinite“-ს წარმოება, ლიმონათის წარმოება „BOOM“ და „Chito-Gvrito“-ს ბრენდებით;

2018 წელი - დაიწყო სუფრის წყლის და გამაგრილებელი სასმელების „BOOM MOJITO“ „BOOM CHERRY“ წარმოება;

2019 წელი - დაიწყო უმაქრო ენერგეტიკული სასმელის „BOOM FREE“-ს წარმოება, „3G“-ს ბრენდისთვის ენერგეტიკული სასმელის და ლიმონათების წარმოება;

2020 წელი - დავიწყეთ ენერგეტიკული სასმელის და ლიმონათის წარმოება ბრენდისთვის „DZALA“, ლიმონათი ბრენდისთვის „Lazuri“, ენერგეტიკული სასმელები ბრენდებისთვის „16-TH“ და „N1“, „OMY“.

ამჟამად პროდუქციის ექსპორტს ვახორციელებთ შემდეგ ქვეყნებში:

- რუსეთი;
- უკრაინა;
- ყაზახეთი;
- უზბეკეთი;
- აზერბაიჯანი;
- სომხეთი;
- თურქეთი;
- ირანი;
- ჰოლანდია;
- საფრანგეთი;
- ბელგია;
- ჩეხეთი;
- პოლონეთი.

უახლოეს მომავალში ვგეგმავთ პროდუქციის ექსპორტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იზრაელში და ბალტიის ქვეყნებში.

პროდუქციის ასორტიმენტის და მოცულობის სწრაფმა ზრდამ გახსნიდან მოკლე დროში დააყენა წარმოების გაფართოების აუცილებლობა. უკვე 2018 წლის ბოლოს კომპანიამ შეისყიდა მიმდებარე ტერიტორიაზე 1 ჰა-მდე დამატებითი მიწის ნაკვეთი. 2019 წელს ააშენა 4100 კვ.მ. სასაწყობო ფართი, ხოლო არსებული მზა პროდუქციის საწყობი გამოიყენა წარმოების გაფართოებისთვის. 2020 წელს ააშენა საკუთარი ავტობობილებისთვის ავტობოქსი ხარჯებისა და დროის ეფექტურობის გაზრდისთვის, აშენდა ახალი სასაწყობო შენობა, რომლის იჯარით გადაცემას გეგმავს.

დამონტაჟდა მინის ბოთლში ჩამოსასხმელი ხაზი და შეძენილ იქნა დანადგარები „პეტ“ ხაზის მოდერნიზაციისთვის. გაფართოვდა წყლის მომზადების და სასიროფე უბნები. უახლოეს მომავალში, 2021 წლის ზამთარში, იგეგმება „პეტ“ ხაზის მოდერნიზაცია წარმადობის მნიშვნელოვნად გაზრდის მიზნით, რათა დაკმაყოფილდეს მზარდი მოთხოვნა საექსპორტო ლიმონათზე. ასევე 2021 წელს იგეგმება ალტერნატიული წყლის და ელექტროენერგიის სისტემების მონტაჟის დაწყება, მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

### **სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა**

კომპანია აქტიურად მუშაობს სტატისტიკური და ფინანსური ანალიზის განვითარებასა და დახვეწაზე, მიმდინარეობს ბაზრის რისკების ადრეული აღმოჩენის და დროული რეპორტირების სისტემის შემუშავება. მომდევნო წლებში ვგეგმავთ ექსპორტის წილის კიდევ გაზრდას, ადგილობრივი მომხმარებლების კმაყოფილებისა და ლოიალურობის გაზრდას. ჩვენი კომპანია მუდმივად ცდილობს ასორტიმენტის გაზრდას და გაუმჯობესებას. გვაქვს მოლაპარაკებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ექსპორტის განხორციელებისათვის. ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ რა ღირებულება შევუქმნათ მომხმარებლებს და როგორ გავუმარტივოთ მათ ცხოვრება ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შეთავაზებით. ამისათვის საჭიროა მოვიძიოთ ბაზრისათვის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და ღირებული პროდუქტები და მუდმივად განვავითაროთ ისინი.

**სს ქვეშის დირექტორი**

**ბესარიონ ურუმაშვილი**

*ბ. ურუმაშვილი*